ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 386/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), და მეორე მხრივ, შპს ,,მოლეკულა+'', წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ნასარიძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შეაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების ფარგლებში FR 21-4630 საგრანტო პროექტისათვის (ხელმძღვანელი თამარ თათრიშვილი, წერილის ნომერი 2097/10-02) ვაკუუმ საცხის - **CPV 09211000** (საპოხი ზეთები და საპოხი აგენტები), ლაბორატორიული პიპეტების და აქსესუარების - **CPV 38437000** და სამედიცინო სახარჯი მასალების - **CPV 33140000 (პინცეტი)** შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა:

No	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ფასი (ლარი)
CPV 09211000	ვაკუუმ საცხი 80 გრ	**2 ცალი**	**120**	**240**
CPV 33140000	პინცეტი 30მლ	**2 ცალი**	**90**	**180**
CPV 38437000	პიპეტი პლასტმასის 3მლ	**200 ცალი**	**0.30**	**60**
			სულ	**480**

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება შეადგენს: **480.00 (ოთხასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს**.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ინსპექტირებას და ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს: **FR 21-4630** საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან ამისათვის უფლებამოსილი პირ(ებ)ი, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 აგვისტოს #189/02-01 ბრძანებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.
3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
3.3. ყველა გამოვლენილი დეფექტისა ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის (მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის), მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დოკუმენტების სრულყოფილი სახით გაფორმებისა და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, საქონლის სრული მოცულობით მიწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 6 მარტის #52/02-01 ბრძანებით განსაზღვრული პირი.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის, ინსპექტირების ჯგუფის უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 2 დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. #1 თსუ პირველი კორპუსი.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს **30 კალენდარული დღის** განმავლობაში.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. მოწოდების მომენტისათვის უნდა გააჩნდეს ვარგისიანობის ვადა.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლრბს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.
9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.
9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს
ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.
9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.
10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
10.2.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება.
10.2.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
10.2.3. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;
102.4. შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.
10.3. შემსყიდველი ვალდებულია:
10.3.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა ხელშეკრულების 4.2 პუნქტის შესაბამისად.
10.4.მიმწოდებელი უფლებამოსილია:
10.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში,
10.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.
10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
10.5.1. შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;
10.5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების მე-8 მუხლით.
11.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
11.4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.

ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.6. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით;
11.7. ხელშეკრილების 11.4.1. პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება;

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს **2023 წლის 1 დეკემბრამდე**.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
13.2. თუ მხარეები 10 კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით,
14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.
14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.
14.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.
14.9. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს „მოლეკულა+”**
მისამართი:	**მისამართი:**
ქ.თბილისი; ი. ჭავჭავაძის გამზ. #1	ქ.თბილისი, ლუბლიანას 38ბ

საბანკო რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
ეროვნული საგრანტო პროექტი
FR 21-4630

საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“

ა/ა N: GE23TB7018036020100012

ბანკის კოდი: ბანკის კოდი: TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:
431954995

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.05.15 12:03:07 +04'00'

Ivane Nasaridze 21001002670

Digitally signed by Ivane Nasaridze
Date: 2023.05.15 14:41:51

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი